**განმარტებითი ბარათი**
**საქართველოს კანონის პროექტზე**

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

***ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:***

კანონპროექტის მომზადება განაპირობა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განახორციელებულმა ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ, რასაც შედეგად მოყვა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია.

***ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:***

კანონპროექტის მიზანია განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსული შეირაღებული ძალების მიერ და დაადგინოს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი აღნიშნულ ტერიტორიებზე.

***ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:***

კანონის პროექტი ითვალისწინებს რუსული შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული ტერიოტორიების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრას, რომელიც ვრცელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს საკუთრების უფლების, სამეწარმეო საქმიანობისა და თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. პროექტის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება რუსეთის ფედერაციას. ამასთან, კანონპროექტი არალეგიტიმურად აცხადებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თუ ის შექმნილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

***ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:***

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

*ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

*ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

*ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

## გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება *საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.*

## დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შეჯუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტის მომზადებულია ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა და ლაშა თორდია.

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა და ლაშა თორდია